

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N72**

2025 წელი; 21 მარტი; 11:00 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)

ზურაბ აბაშიძე

ნინო რუხაძე

მარიამ გელაშვილი

ავთანდილ ცინცაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

მოწვეული პირები:

- 1. გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- 2. ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- 3. თამარ ბერუაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
- 4. დავით ჩანქსელიანი** - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- 5. დავით ჯაიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მოადგილე;
- 6. სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
- 7. თათია ბარაქაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- 8. ოთარ ჩიტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე;
- 9. შალვა ლომსაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე**

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
5. „საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის 2025 წლის 23 იანვარს გაფორმებული სასესხო შეთანხმების საფუძველზე („თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი“), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
6. „ქალაქ თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე, სავაჭრო ცენტრის წინ მდებარე 587 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.13.03.023.085) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი“ (ს/ნ: 204423454) უფლებამონაცვლე: შპს „ბაუსტარი მმ“ (ს/ნ: 404504639)) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2016 წლის 09 მარტის Nე-297-22-17439 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჭორვატს“-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, მოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-

სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისისათვის“ (ს/ნ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და დალი დადვანს (პ/ნ: 01008027271), თამარ ჯამდელიანს (პ/ნ: 01008061212), ლერი ჯამდელიანს (პ/ნ: 01013012649) და ნინო ჯამდელიანს (პ/ნ: 01008042196) შორის 2024 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან დალი დადვანის (პ/ნ: 01008027271), თამარ ჯამდელიანის (პ/ნ: 01008061212), ლერი ჯამდელიანის (პ/ნ: 01013012649) და ნინო ჯამდელიანის (პ/ნ: 01008042196) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მშენებარე ფართის (მდებარე: ქალაქი თბილისი, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორია, სართული 2, ბინა N3, ს/კ N01.19.19.005.225.01.01.003) კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირის - ნათელა ჯავას (პ/ნ 01023002383) უფლებამონაცვლეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
10. „ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161.01.512) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
11. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036.01.012) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
12. „ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.015) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
13. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N47-ში მდებარე N94ა და N102 ბინების (საკადასტრო კოდები: N01.12.20.030.027.01.04.094ა; N01.12.20.030.027.01.01.102), ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე N99 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.141.01.01.099) და ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. N23ა-ში მდებარე N3 ბინის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.407.01.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
14. „ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58-ში მდებარე N25 და N74 ბინების (მშენებარე) (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078.01.01.025; N01.12.12.002.078.01.01.074) და ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონი; ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე N172 ბინის

(მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.36.016.011.01.05.172) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

15. „ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58-ში მდებარე N44 ბინის (მშენებარე) და N93 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078.01.01.044; N01.12.12.002.078.01.01.093) და ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე N216 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.19.36.016.011.01.01.216) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
16. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N10 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.393.01.01.010) და ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N308-ში მდებარე N20 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.019.01.01.020) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
17. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N42 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.393.01.01.042) და ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე N33 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.033) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
18. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N24 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.024); ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე N44 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.044) და ქალაქ თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე N42 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.11.037.115.01.01.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
19. „ქალაქ თბილისში, ფარნაეზ მეფის გამზ. N21-ში მდებარე N55 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.049.01.01.055) ქალაქ თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევის N2/ ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე N4 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.10.10.020.214.01.01.004) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. N15-ში მდებარე N71 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.10.012.158.01.01.071) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
20. „ქალაქ თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N36-ში არსებული 118.30 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.02.019.001.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
21. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩის V. ჩიხის N3-ში არსებული 69.77 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.016.01.500)

პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

22. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N28-ში მდებარე N64 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.154.01.01.064), ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე N107 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.107) და ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N22 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.394.01.01.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
23. „ქ. თბილისში, ზოგდან ხმელნიცკის ქუჩა N32-ის მიმდებარედ 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.11.037.016) პირდაპირი განკარგვის წესით, ინა ტიელიძისთვის (პ/ნ: 01014003661) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
24. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.004.047) 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „საცხოზი 2025“-სთვის (ს/ნ: 405746064) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
25. „ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) 25 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თამარ მანჯავიძისთვის (პ/ნ: 01001000702) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
26. „ქალაქ თბილისში, ბახტრიონის ქ. N28, კორპუსი N3-ის მიმდებარედ არსებული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.007.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალმონდ ბეიქერი 1995“-ისთვის (ს/ნ: 211344776) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
27. „ქალაქ თბილისში, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N4ა-ში არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.07.010.034) პირდაპირი განკარგვის წესით ქეთევანი გველესიანისთვის (პ/ნ: 01008004450) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
28. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N14-ის მიმდებარედ არსებული 2469 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.10.14.009.033) 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „მარსოჯორჯია 2018“-სთვის (ს/ნ: 404555110) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
29. „ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.017.032) პირდაპირი განკარგვის წესით, ალექსანდრე გოგინაშვილისთვის (პ/ნ: 01030015092) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

30. „ქალაქ თბილისში, ჯაბაურის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.16.04.028.069) პირდაპირი განკარგვის წესით, თამარი ერამისთვის (პ/ნ: 01034001668) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
31. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
32. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექო გობრონიძის ქუჩა N21გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.17.003.257, ფართობი - 993 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
33. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სამგორის ქუჩა N3; ქალაქი თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა N42; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის N9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.273, ფართობი - 6 115 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
34. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.012.008, ფართობი - 3 000 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
35. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N73ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.139, ფართობი - 16 445 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
36. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N152; N158; N156; N154; N152ბ; N152გ; N66; N66დ; N148; N164; N152გ; N152დ; N146; N150; N66-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3-ის დასახლება, ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: 01.19.36.013.059; 01.19.36.013.037; 01.19.36.013.027; 01.19.36.013.020; 01.19.36.013.060; 01.19.36.013.015; 01.19.36.013.013; 01.19.36.013.045; 01.19.36.013.046; 01.19.36.013.053; 01.19.36.013.014; 01.19.36.013.061; 01.19.36.013.011; 01.19.36.013.058; 01.19.36.013.012; 01.19.36.013.056; 01.19.36.013.003, საერთო ფართობი - 9474 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

37. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რეზო გაბაშვილის ქუჩა, N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.17.005.154, ფართობი - 35 517 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
38. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.235, ფართობი - 11 674 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
39. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N36ა, N30, N34, N32, N38, N36-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლება, ქუჩა I. N17ა, N17, N15, N13, N7-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ზურაბ ჩაჩუას ქუჩა N21, N11დ, N23ა, N27ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: 01.19.36.001.530; 01.19.36.001.123; 01.19.36.001.529; 01.19.36.001.217; 01.19.36.001.176; 01.19.36.001.013; 01.19.36.001.177; 01.19.36.001.152; 01.19.36.001.535; 01.19.36.001.171; 01.19.36.001.511; 01.19.36.001.510; 01.19.36.001.163; 01.19.36.001.037; 01.19.36.001.162; ფართობი - 5 444 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
40. „ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37„ა“-ში (ს/კ N01.10.13.023.001) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში, ზოგიერთი ფიზიკური პირის მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
41. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის აქტისა და ჩამოსაწერი ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული**, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც**, მერიის სტრუქტურულ ერთეულებში და მთაწმინდის რაიონის გამგეობაში შტატიტ გათვალისწინებულ თანამშრომელთა რაოდენობა შემცირდა ჯამურად 19 ერთეულით. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხის გათვალისწინებით, მცირდება საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობის (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში მომუშავეთა რიცხოვნობა 5 ერთეულით.

მომხსენებლის განმარტებით, დაგეგმილია შპს თბილსერვის ჯგუფის ობიექტების დაცვის ფუნქციის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურში გადმოტანა, შესაბამისად იზრდება უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის (კოდი 10 13) პროგრამის ფარგლებში შტატიტ განსაზღვრულ მომუშავეთა რიცხოვნობა 12 ერთეულით, ხოლო ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავმჯდომარისთვის დაქვემდებარებული თავმჯდომარის, სოციალური საცხოვრისების და უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრებელი ბინების შიდა სარემონტო სამუშაოების ინფრასტრუქტურის ეფექტურად მართვის მიზნით, იზრდება თბილისის მუნიციპალური თავმჯდომარის მოვლა-პატრონობის (კოდი 06 02 21) ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა 4 ერთეულით.

მომხსენების მიწერულს, გაიოზ თალაკვაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მიაღწიანობაში შემცირდა 8 ერთეულით და განისაზღვრა 4963 ერთეულით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან.

ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვას:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა დადგენილების პროექტის გამოქვეყნების თარიღის ტექნიკური გამართულობის მიზანშეწონილობა. რაც გაზიარებული იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული**, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**.

მომხსენებლის განმარტებით, წარდგენილი პროექტი ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-99 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „**აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში**“ (შემდგომში - „წესი“) (დანართი N3) ცვლილების განხორციელებას.

თამარ ბერუაშვილის განმარტებით, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ფინანსდება არაუმეტეს 2 400 ბენეფიციარი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოქმედი რედაქციის თანახმად, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში, თვეში ფინანსდება არაუმეტეს 2100 ბენეფიციარი, ხოლო წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, **ლიმიტი იზრდება 300 ერთეულით**, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს **2400** ბენეფიციარი, აღნიშნული ცვლილების საჭიროება განაპირობა ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველთა მომართვით დაზრდას, ამასთანავე, **თამარ ბერუაშვილმა** ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით და დამატებითი სახსრების გამოყოფას არ გამოიწვევს.

მოხსენების მიწურულს, **თამარ ბერუაშვილმა აღნიშნა**, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე. ხოლო დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა მისი გამოქვეყნების თარიღი.

აზრი გამოთქვას:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, ნინო ვარდოსანიძეს მიზანშეწონილად მიაჩნია, დადგენილების პროექტის ამოქმედების თარიღად განისაზღვროს **2025 წლის 1 აპრილი**.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული**, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-16 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ ცვლილების განხორციელებას.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წესის მე-3 მუხლს დაემატება ახალი „მ“ ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრება **შემფასებლის** ცნება. აღნიშნულმა კი განაპირობა მცირე რედაქციული ცვლილებები, კერძოდ, **უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების ნაცვლად, განისაზღვრა ტერმინი - შემფასებელი**. ცვლილებები შედის ასევე წესის მე-10 მუხლში და მე-3 პუნქტის შემდგომ ემატება მე-4 პუნქტი, რომლითაც ზუსტდება, რომ განმახორციელებელი არ ახდენს შემფასებლის მიერ პერსონალური ასისტირების საჭიროებისა და ასისტირების ტიპის განსაზღვრის თაობაზე გაცემული შეფასების ფორმის/შეფასების დასკვნის მონიტორინგს ვინაიდან, პირის პერსონალური ასისტირების საჭიროებისა და ასისტირების ტიპის შეფასება მოითხოვს სპეციალურ სამედიცინო ცოდნას

მომხსენებელი წარმოდგენილი ცვლილებების გამომწვევ წინაპირობებსაც შეეხო და დასძინა, რომ ცვლილებების მიზანია, წესში მოცემულ ტერმინთა სრულყოფილად ჩამოყალიბება და ასევე ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ კონტროლის განხორციელების ფარგლებისა და საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის დაზუსტება.

მომხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა დამატების სახით აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ამასთანავე, დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ დაინტერესება გამოხატა აღნიშნული ცვლილების ფარგლებში, ბენეფიციარების ზრდა არის თუ არა მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული და გამოიწვევს თუ არა დამატებითი სახსრების გამოყოფას, რაზეც მომხსენებლის მიერ აღინიშნა,

რომ აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით და განსახორციელებელი ცვლილებები არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. დავით ჩანქსელიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული**, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ცვლილების შეტანას დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებულ დანართში.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი განხილული და მხარდაჭერილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე. თუმცა მას შემდეგ რაც საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებული დადგენილება გამოქვეყნდა საჯაროდ, აღმოჩნდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, კერძოდ „დანართ N2-ში“ არ ჩანს ქალაქ თბილისის მასშტაბით ახალი (გარე განათება და მხატრული მინათება) სანათი წერტილების მოწყობის სამუშაოთა ესკიზები, რომელიც არის აღნიშნული დანართის განუყოფელი ნაწილი.

ზემოაღნიშნული პირობის გათვალისწინებით, მომხსენებელი მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს ქალაქ თბილისის მასშტაბით ახალი (გარე განათება და მხატრული მინათება) სანათი წერტილების მოწყობის სამუშაოთა ესკიზების დანართი N2-ში ასახვა და იგი გახდეს მისი შემადგენელი ნაწილი.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. დავით ჯაიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს თანხმობის მიცემას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ შორის ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე, საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის 2025 წლის 23 იანვარს გაფორმებული სასესხო შეთანხმების საფუძველზე („თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი“).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2025 წლის 23 იანვარს, საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმება 125 000 000 (ას ოცდახუთი) მილიონ ევროზე თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად. პროექტი მიზნად ისახავს თბილისის მეტროს სისტემის ეფექტიანობის, სანდოობის, უსაფრთხოებისა და მდგრადობის გაზრდას ახალი მრძრავი შემადგენლობის შესყიდვის გზით. ამასთანავე, 2025 წლის 23 იანვარს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის ხელი მოეწერა საპროექტო ხელშეკრულებას.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საპროექტო ხელშეკრულების თანახმად, მეტროს მოდერნიზაციის პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას წარმოადგენს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის განხორციელება, მართვა და მისი ყველა ასპექტის კოორდინირება (მათ შორის, პროექტის შეფასება და პროექტის ოპერაციული სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული ინდიკატორების საფუძველზე, პროექტის შესრულების შესახებ შესაბამისი ანგარიშების წარდგენა) აზიის ინფრასტრუქტურის განვითარების ბანკის (AIIB) სახელმწიფო სესხებისთვის განკუთვნილი ზოგადი პირობების მე-5 მუხლისა და წინამდებარე ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი დებულებების შესაბამისად (როგორც ეს განსაზღვრულია სასესხო შეთანხმებით). თავის მხრივ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს სასესხო შეთანხმების ფარგლებში მიღებული ფინანსური სახსრების ადეკვატური, დროული და რეგულარული განაწილება პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დანართის სახით წარმოდგენილი ქვესასესხო ხელშეკრულების პროექტის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სასესხო შეთანხმებით საქართველოსთვის გათვალისწინებულ თანხას 125 000 000 (ასოცდახუთი მილიონი) ევროს სესხის სახით (შემდგომში - ქვესესხი). სასესხო შეთანხმებითა და საპროექტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად. თავის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სესხის ხელმისაწვდომობას შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“, როგორც პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის.

ქვესასესხო ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

- კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და პროექტის ეფექტური განხორციელება ყველა იმ პირობათა დაცვით, რაც გათვალისწინებულია, სასესხო შეთანხმებით, საპროექტო ხელშეკრულებით და წინამდებარე ხელშეკრულებით;
- წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) სასესხო ანგარიშიდან თანხების გამოთხოვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასამოწმებლად წარუდგინოს უფლებამოსილი პირთა ხელმოწერის ნიმუშები, ხოლო ამ უფლებამოსილი პირების შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს;
- ყოველწლიურად თავის ბიუჯეტში გაითვალისწინოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ქვესესხთან დაკავშირებული გადასახდელები და აღნიშნული აცნობოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს;
- აღრიცხოს პროექტის განხორციელების მიზნით, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) სასესხო ანგარიშიდან თანხების მოხსნა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აცნობოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობით ან ელექტრონული ფოსტით; პროექტისთვის აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) სასესხო ანგარიშიდან სესხის თანხების მოხსნის შესახებ, თანხის მოხსნიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში;
- ფინანსურ დოკუმენტაციაში სრულად ასახოს ქვესესხის აღებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, აწარმოოს ჩანაწერები და პირველი მოთხოვნისთანავე წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ყველა ფინანსური დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ქვესესხის ფარგლებში განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციებთან;
- დაუყოვნებლივ აცნობოს აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ისეთი გარემოებების წარმოქმნის შესახებ, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედოს ან დააბრკოლოს ქვესესხის მიზნობრივი გამოყენება;
- წინასწარ შეათანხმოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან (AIIB) პროექტის ფარგლებში ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის, ასეთი ცვლილების გამომწვევი მიზეზები, შემდგომი ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგები;
- ყოველკვარტლურად, კვარტლის დასრულებიდან 10 დღის ვადაში წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიში პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების თაობაზე, ასევე სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით ინფორმაციასთან ერთად წარმოადგინოს ინფორმაცია სესხის დაბრუნების თაობაზე; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შესაბამისი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია (ასლი). ინფორმაციის ან დოკუმენტაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს ზემოაღნიშნული ვადის 10 დღით გადაწევა;

- წლის დასრულებიდან 45 დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარადგინოს ანგარიში წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯებისა და საქმიანობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ შორის ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღების მიზნით, წინამდებარე განკარგულებისა და ხელშეკრულების პროექტის წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და ქვესასესხო ხელშეკრულების პროექტის პრეამბულაში, 2025 წლის 23 იანვარს ხელმოწერილი საპროექტო ხელშეკრულების მხარეების სწორი ფორმით მითითების რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს** ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისს“ (უფლებამონაცვლე: შპს „ბაუსტარი მმ“) შორის, გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის 2016 წლის 09 მარტის ხელშეკრულებაში ცვლილებას და აღნიშნული ხელშეკრულებით განკარგული უძრავი ქონების (ქ. თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე, საჯარო ცენტრის წინ მდებარე 587 კვ.მ მიწის ნაკვეთი) ნაწილზე (190 კვ.მ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 13 მარტის განკარგულების დანართის შესაბამისად) ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ გაუქმებას, იმ პირობით, რომ შპს „ბაუსტარი მმ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ მასთან შესაბამისი შეთანხმების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე 25 580 (ოცდახუთი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარის გადახდას.

მომხსენებლის განმარტებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისს“ (უფლებამონაცვლე: შპს „ბაუსტარი მმ“) შორის, 2016 წლის 09 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონის წესით,

მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე მდებარე 587 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი სააუქციონო პირობით:

- დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე;
- მშენებლობის უფლების გარეშე;
- მისასვლელი გზის უზრუნველყოფის პირობით.

სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ კომპანიის მიერ რეგისტრირებული ქონების მიმდებარე საკადასტრო ერთეულებთან გაერთიანების შედეგად ფორმირდა ერთ საკადასტრო ერთეულად. შესაბამისად, მყიდველის მიერ სააგენტოსთვის შესაბამისი მიმართვის საფუძველზე, სააგენტომ 2025 წლის 23 იანვარს გამოსცა ბრძანება „სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისის“ (უფლებამონაცვლე: შპს „ბაუსტარი მმ“) შორის 2016 წლის 09 მარტს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების დადასტურების თაობაზე“ რომლის საფუძველზეც დადასტურდა სააუქციონო პირობის - **დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე** - შესრულება და მოიხსნა ქონებაზე რეგისტრირებული აღნიშნული პირობა. კომპანიამ 2025 წლის 23 იანვრის, 29 იანვრის და 10 მარტის განცხადებებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ქონების ნაწილზე არსებული შეზღუდვის („მშენებლობის უფლების გარეშე“) გაუქმება, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მხრიდან შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქონებაზე არსებული „მშენებლობის უფლების გარეშე“ პირობის გაუქმება.

მომხსენებელმა ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 თებერვლის დასკვნაზე, რომლის შესაბამისად, ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (119 748 (ას ცხრამეტი ათას შვიდას ორმოცდარვა) ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის „მშენებლობის უფლების გარეშე“ შეზღუდვისაგან ნაწილობრივ (190 კვ.მ - წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად) თავისუფალ მდგომარეობაში ღირებულებებს შორის სხვაობა აუქციონის თარიღისათვის (2016 წ.) შეადგენდა 16 625 (თექვსმეტი ათას ექვსას ოცდახუთი) ლარს, რაც დასკვნის მომზადების თარიღისათვის (27.02.2025 წ.) შეადგენს **25 580 (ოცდახუთი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარს**.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ 2025 წლის 28 თებერვლის განცხადებით მყიდველმა განაცხადა თანხმობა ქონების ნაწილზე (190 კვ.მ. - წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად) „მშენებლობის უფლების გარეშე“ პირობის გაუქმების შემთხვევაში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 თებერვლის დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე.

სერგო ბირკაძემ მოხსენების მიწურულს აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე, სავაჭრო ცენტრის წინ მდებარე 587 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის“ (უფლებამონაცვლე: შპს „ბაუსტარი მმ“) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2016 წლის 09 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის

გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2025 წლის 13 მარტის განკარგულებით აღნიშნული საკითხი მოიწონა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარმოდგინა პირობებით გამოცხადებული აუქციონის 2016 წლის 09 მარტის ხელშეკრულებით განკარგული უძრავი ქონების ნაწილზე (190 კვ.მ - ქალაქ თბილისის მთავრობის 2025 წლის 13 მარტის განკარგულების დანართის შესაბამისად) ხელშეკრულებით გათვალისწინებული „მშენებლობის უფლების გარეშე“ პირობის გაუქმების წინადადება.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა რომ აღნიშნული ცვლილება ხორციელდება შემდეგი პირობით: სააგენტოსა და მყიდველს შორის შესაბამისი შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მყიდველი უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 25 580 (ოცდახუთი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარის გადახდას.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. სერგო ბირკაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ჰორვატს“-ს შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, მოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისათვის“ პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მშენებლობის I ლოტით განსაზღვრული ვადის **2025 წლის 31 დეკემბრამდე** გახანგრძლივებას.

სერგო ბირკაძის განმარტებით, ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ჰორვატს“-ს შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, მოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისათვის“ პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ისათვის კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი

ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით) განისაზღვრა – 18000 კვ. მ ოდენობით, საიდანაც 967.12 კვ.მ საცხოვრებელი ფართი გადაეცემოდა სააგენტოს ან/და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, ხოლო ჯამურად 17032.88 კვ.მ - კოოპერატივის წევრებს;

მომხსენებელმა მიერ ასევე აღინიშნა, რომ 2023 წლის 2 თებერვალს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა შპს „ჰორვატის“ და კომპანიის - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“ (შემდგომში - „კომპანია“), ერთობლივი განცხადება, რომლითაც დგინდებოდა, რომ მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება და ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, მათ შორის, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მხარედ შპს „ჰორვატის“ ნაცვლად განისაზღვრა შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“ და მასზე სრულად გავრცელდა მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი უფლებები და ვალდებულებები, გარდა ამისა, შეიცვალა ლოტების დასრულების ვადები. კერძოდ, I ლოტის მშენებლობა უნდა დასრულდებოდა 2025 წლის 31 მარტამდე, II ლოტის - არაუგვიანეს 2026 წლის 31 მარტისა, III ლოტის - არაუგვიანეს 2027 წლის 31 მარტისა, ხოლო IV ლოტის - არაუგვიანეს 2028 წლის 31 მარტამდე. რაც საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქვაბულის დამუშავები პროცესში გამოვლენილმა რიგმა შემაფერხებელმა გარემოებებმა გამოიწვია.

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ დასძინა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ჰორვატს“-ს შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებულ „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, მოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისათვის“ პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილება შეტანის თაობაზე პროექტი და ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტის I ლოტით გათვალისწინებული ვადა ნაცვლად 2025 წლის 31 მარტისა განისაზღვრება 2025 წლის 31 დეკემბრით.

აზრი გამოთქვას:

იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის მეორე პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, რაც გაზიარებული იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს თანხმობას მიცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და დალი დადვანს, თამარ ჯამდელიანს, ლერი ჯამდელიანს, ნინო ჯამდელიანს შორის 2024 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.2 პუნქტის შესაბამისად, 2025 წლის 14 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 1 800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით) დალი დადვანის, თამარ ჯამდელიანის, ლერი ჯამდელიანის, ნინო ჯამდელიანის გათავისუფლებას.

სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ პირებსა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2024 წლის 23 დეკემბერს გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: **ქ. თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქ. №2ა-ში, მდებარე 84.5 კვ.მ ფართობის ბინა; ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქ. №22, №24-ში მდებარე 50.4 კვ.მ ფართობის ბინა.**

ხელშეკრულების **2.1** პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენი ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩა №5-ში, კორპუსი „ბ“, II და III ბლოკი, მე-9 სართულზე მდებარე 87 კვ.მ ფართობის №62 ბინაზე არსებულ საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარს ამბობს და აღნიშნულ უფლებას უსასყიდლოდ უთმობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს; ხოლო ხელშეკრულების **2.2** პუნქტის თანახმად, ქონების შემძენი არაუგვიანეს 2025 წლის 13 იანვრისა (უქმე დღეების გათვალისწინებით), სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უზრუნველყოფს ზემოხსენებულ ქონებაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციას, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში. ხელშეკრულების **6.2** პუნქტი კი ითვალისწინებს პირგასამტეხლოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (გარდა საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულებისა) დარღვევის შემთხვევაში 100 (ასი) ლარის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, არასწორად დადგენილი ხარვეზის გამო, ქონების შემძენის მიერ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება (არაუგვიანეს 13.01.2025 წლისა (უქმე დღეების გათვალისწინებით), უძრავ ქონებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში) ნაცვლად 2025 წლის 13 იანვრისა, შესრულდა ვადის დარღვევით - 2025 წლის 31 იანვარს, შესაბამისად ხელშეკრულების 6.2 პუნქტის საფუძველზე დაეკისრა პირგასამტეხლო 100 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან (14.01.2025 წ.) ვალდებულების შესრულებამდე (31.01.2025 წ.), რამაც ჯამში შეადგინა 1 800 (ათას რვაასი) ლარი.

ზემოაღნიშნული პირობის გათვალისწინებით, მომხსენებელმა მიიჩნია, რომ მიზანშეწნილია მოხდეს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ქონების შემძენს შორის გაფორმებული

ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.2 პუნქტის შესაბამისად, 2025 წლის 14 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე, დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 1 800 ლარის ოდენობით) დალი დადვანის, თამარ ჯამდელიანის, ლერი ჯამდელიანის, და ნინო ჯამდელიანის გათავისუფლების საკითხის შესათანხმება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორია, სართული 2, ბინა N3, კოოპერატიული ბინაიუმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირის-ნათელა ჯავას უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან;

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებს შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 იანვრის განკარგულების შესაბამისად გაფორმდა ხელშეკრულება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“, რომლის თანახმადაც, კოოპერატივის წევრებმა; უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ; სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ პირსა - შპს ჯიერ ქონსთრაქშენისთვის“ (დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა ვარკეთილი“ და კოოპერატივის წევრებს შორის 2023 წლის 9 მარტს გაფორმდა „უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ სამშენებლო მომსახურების გაწევის შესახებ“ ხელშეკრულება და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, მიწის ნაკვეთზე დარეგისტრირდა კომპანიის საკუთრების უფლება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მითითებული ხელშეკრულების ხელმოწერამდე გარდაიცვალა ხელშეკრულების დანართის N1-ით განსაზღვრული პირი ნათელა ჯავა და გამოცემული განკარგულებები მის ნაწილში მიჩნეულ იქნა ძალადაკარგულად მისი გამოცემის დღიდან, სერგო ბირკაძემ დამატებით ასევე აღნიშნა, რომ პროცესის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნული ქონება დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, შემდგომ მოხდა ნათელა ჯავას მემკვიდრეების მხრიდან სააგენტოსთვის მიმართვა.

2024 წლის 28 ივნისს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მომართეს ნათელა ჯავას მემკვიდრეებმა დავით ხუხუნაიშვილმა და ნესტან ნანიკაშვილმა და სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მოითხოვეს ნათელა ჯავას კუთვნილი მშენებარე ფართის მართვის გადაცემა.

მომხსენებელმა დამატებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ნათელა ჯავას მემკვიდრეები ადასტურებენ, რომ გაეცნენ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კოოპერატივის წევრებს, სააგენტოსა და კომპანიას შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტს და თანახმა არიან, გააფორმონ შესაბამისი შეთანხმება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით. შესაბამისად, კოოპერატივის წევრების მიმართ არსებული სახელმწიფო სამინაო ვალი ჩაითვლება სრულად დაფარულად და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ აქვთ/არც მომავალში წარმოეშობათ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება.

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია ნათელა ჯავას უფლებამონაცვლებისთვის დავით ხუხუნაიშვილისა და ნესტან ნანიკაშვილისთვის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით გადაცემა.

აზრი გამოთქვას:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკურ გამართულობაზე რაც გაზარებული იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში არსებული 57.69 კვ.მ უძრავი ქონების მოქალაქე მადონა სულაბერიძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა განმარტა, დაინტერესებულმა პირმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ნაძალადევის რაიონის გამგეობას, აღნიშნული უწყების მიერ კი, საკითხის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდან-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს 2024 წლის 16 თებერვლის წერილით დგინდება ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა 2012

წლიდან, რაც ასევე ასევე დასტურდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტით და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილით;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, **დაინტერესებული პირის** და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მომხსენებელმა, შეჯამების საბით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარე წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში არსებული 26.53 კვ.მ უძრავი ქონების მოქალაქე ისმაილ ახმედოვისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შესაბამის ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა გლდანის რაიონის გამგეობას, აღნიშნული უწყების მიერ კი, საკითხის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის X სამმართველოს **2024 წლის 1 ივლისის** წერილის თანახმად, დაინტერესებული პირი **1993-1995 წლებიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტით და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, **დაინტერესებული პირის** და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების საბით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. სერგო ზირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს: ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა N51-ში მდებარე უძრავი ქონების (ჯამურად - 75.54 კვ.მ) მადონა ხარხელაურისა და როზა შენგელიასთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებელმა განმარტა რომ, დაინტერესებულმა პირებმა დაკავებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შესაბამის ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ისნის რაიონის გამგეობას, აღნიშნული უწყების მიერ კი, საკითხის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სანი-სამგორის მთავარი სამმართველოს **2024 წლის 4 დეკემბრის** წერილით და მასზე თანდართული ოქმებით ირკვევა, რომ დაინტერესებული პირები, **2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება ისნის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტით და მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული წერილით;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მადონა ხარხელაურის და როზა შენგელიას საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მოსხენების მიწურულს, სერგო ზირკაძემ აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემას ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქ. N47-ში მე-9 სართულზე მდებარე 33.40 კვ.მ. ფართობის N94ა ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქ. N47-ში მე-10 სართულზე მდებარე 71 კვ.მ. ფართობის N102 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე გიორგი კერესელიძისთვის საკუთრებაში გადაცემაზე, საერთო საპრივატიზებო საფასურის - 67 354 ლარის ოდენობით, ხოლო, ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მე-10 სართულზე მდებარე 76.60 კვ.მ. ფართობის N99 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქ. N23ა-ში, პირველ სართულზე მდებარე 44.80 კვ.მ. ფართობის N3 ბინის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე მარინა წულუკიძისთვის საკუთრებაში გადაცემაზე, საერთო საპრივატიზებო საფასურის - 67648 ლარის ოდენობით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2024 წლის 27 მაისს და 19 ივნისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართეს **ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ფართის თანამესაკუთრის - მარინა წულუკიძის მინდობილმა პირმა და აღნიშნული ფართის სხვა თანამესაკუთრემ - გიორგი კერესელიძემ და მათ საკუთრებაში არსებული წილების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ, ითხოვეს ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა**. ამასთანავე, დაინტერესებულმა პირებმა წერილობით განაცხადეს თანხმობა ქონების ღირებულებებს შორის სხვაობის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდის თაობაზე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში.

სერგო ბირკაძის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ. ფართის** (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით**. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 476 166 ლარის ოდენობით. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, აღნიშნულ ქონებაში გიორგი კერესელიძისა და მარინა წულუკიძის საკუთრებაში არსებული 6/12 წილების საბაზრო ღირებულებებზე განიხილება 238 083 ლარი.

მომხსენებლის მითითებით, 2024 წლის 14 თებერვლისა და 29 აპრილის მდგომარეობით, გიორგი კერესელიძისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 207 107 და 98 330 ლარის ოდენობით (ჯამურად: 305 437 ლარი), ხოლო 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, მარინა წულუკიძისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 189 968 ლარის და 115 763 ლარის ოდენობით (ჯამურად: 305 731 ლარი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, დაინტერესებულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას და **საპრივატიზებო პირობის სახით - მათ საკუთრებაში არსებულ თითოეულის 6/12 წილზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.**

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58-ში, 7.40 ნიშნულზე მდებარე 68.50 კვ.მ. ფართობის N25 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონის მიმდებარე; ქ. თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის, მე-8 სართულზე მდებარე 71.50 კვ.მ. ფართობის N172 ბინის (მშენებარე) **მოქალაქე ანი ბუაძისთვის**, ხოლო ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58-ში, 13.80 ნიშნულზე მდებარე 49.70 კვ.მ. ფართობის N74 ბინის (მშენებარე) **მოქალაქე ქეთევანი ინაკავაძისთვის**, პრივატიზების გზით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N58-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2024 წლის 21 მაისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართეს **ყიფშიძის ქ. N58-ში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ფართის თანამესაკუთრებმა** - ანი ბუაძემ და ქეთევანი ინაკავაძის წარმომადგენელმა ირმა გრიგოლაშვილი-ასათიანმა და აღნიშნული ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის საწინააღმდეგო ითხოვეს საწინააღმდეგო ფართების საკუთრებაში გადაცემა შემდეგი განაწილებით: ქ. თბილისში, მექანიზაციის ქ. N1-ში (დღეისათვის რეგისტრირებული ახალი მისამართით: გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58) მდებარე 68.50 კვ.მ N25 ბინის და ქ. თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონის მიმდებარე 71.50 კვ.მ ფართობის ბინის გადაცემა ანი ბუაძისთვის; ხოლო, მექანიზაციის ქ. N1-ში (დღეისათვის რეგისტრირებული ახალი მისამართით: გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58) მდებარე 49.70 კვ.მ N74 ბინის გადაცემა ქეთევანი ინაკავაძისთვის.

სერგო ბირკაძის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N58-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ. ფართის** (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის**

ოდენობით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 476 166 ლარის ოდენობით.

მომხსენებლის მითითებით, ასეთივე დაშვებებით, 2024 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 187 074; 135 731 და 151 652 ლარის ოდენობით (ჯამურად: 474 457 ლარი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით - მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქ. N58-ში მდებარე 68.5 კვ.მ ფართობის N44 ბინის (მშენებარე) და 49.7 კვ.მ ფართობის N93 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე 71.5 კვ.მ ფართობის N216 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე ალექსანდრე ყურაშვილისთვის, არჩილ ყურაშვილისთვის, გიორგი ყურაშვილისთვის, თამარ ყურაშვილისა და ნინო ყურაშვილისთვის, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N58-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2024 წლის 4 აპრილს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N58-ში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ფართის

თანამესაკუთრებმა - ალექსანდრე ყურაშვილმა, არჩილ ყურაშვილმა, გიორგი ყურაშვილმა, თამარ ყურაშვილმა და ნინო ყურაშვილმა და აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობის სანაცვლოდ, ითხოვეს ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების თანასაკუთრებაში გადაცემა.

როგორც სერგო ბირკაძემ აღნიშნა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N58-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ. ფართის** (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით**. შესაბამისად, **მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 476 166 ლარის ოდენობით**.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ასეთივე დაშვებებით, 2024 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით, შეფასდა-ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების **საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 187 074; 135 731 და 151 652 ლარის ოდენობით (ჯამურად: 474 457 ლარი)**.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემას და **საპრივატიზებო პირობის სახით - მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას**.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე 95.8 კვ.მ ფართობის N10 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N308-ში მდებარე 58.2 კვ.მ ფართობის N20 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე

ციალა ჩხაიძისა და ირაკლი ქარჩავასთვის, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2023 წლის 3 ნოემბერს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართეს **ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 105.60 კვ.მ. ფართის თანამესაკუთრებმა - ციალა ჩხაიძემ და ირაკლი ქარჩავამ** და აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობის სანაცვლოდ, ითხოვეს ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების თანასაკუთრებაში გადაცემა.

სერგო ბირკაძის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ. ფართის** (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **3 903 ლარის ოდენობით**. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **412 156.8 ლარის ოდენობით**.

მომხსენებლის მითითებით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა **275 042 და 136 712 ლარის ოდენობით (ჯამურად: 411 754 ლარი)**.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემას და **საპრივატიზებო პროცესის სახით - მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას**.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე 95.8 კვ.მ ფართობის N42 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე 76.6 კვ.მ ფართობის N33 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ლევან გეგეჭკორისთვის, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2024 წლის 30 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 120 კვ.მ. ფართის მესაკუთრემ - ლევან გეგეჭკორმა და აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობის სანაცვლოდ, ითხოვა ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა.

როგორც სერგო ბირკაძემ აღნიშნა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეორი. კარკასის კონდინციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 468 360 ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული პირისათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 275 042 და 189 968 ლარის ოდენობით (ჯამურად: 465 010 ლარი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისთვის საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით - მის ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე 84.5 კვ.მ ფართობის N24 ბინის (მშენებარე), ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ. N3-3-ში მდებარე 76.6 კვ.მ ფართობის N44 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, ზედაზენის ქ. N6/ჭოლა ლომთათიძის ქ. N7-ში მდებარე 37.7 კვ.მ ფართობის N42 ბინის (მშენებარე) არსებული უძრავი ქონების **მოქალაქე ლენა ლომინაძისთვის, ნანა მაჭავარიანისა და ოთარ დოლიძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

რიგორგ მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2023 წლის 31 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართეს **ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 139.20 კვ.მ. ფართის მესაკუთრეებმა - ლენა ლომინაძემ, ნანა მაჭავარიანმა და ოთარ დოლიძემ** და აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობის სანაცვლოდ, ითხოვეს ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების თანასაკუთრებაში გადაცემა.

სერგო ბირკაძის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ. ფართის** (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით.** შესაბამისად, **მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 543 297.6 ლარის ოდენობით.**

მომხსენებლის მითითებით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 10 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა .ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების **საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 242 600; 189 968 და 108 237 ლარის ოდენობით (ჯამურად: 540 805 ლარი).**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემას და **საპრივატიზებო პირობის სახით - მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N21-ში მდებარე 80.08 კვ.მ ფართობის N55 ბინის (მშენებარე), ქალაქ თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევის N2/ ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე 55.8 კვ.მ ფართობის N4 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. N15-ში მდებარე 58.9 კვ.მ ფართობის N71 ბინის (მშენებარე) **პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე გიორგი ჭიჭინაძისთვის, ვახტანგ ჭიჭინაძისთვის, ნინელი ტურავასა და ნინო ჭიჭინაძისთვის, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N58-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2023 წლის 31 ოქტომბერს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართეს **ყიფშიძის ქ. N58-ში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ფართის თანამესაკუთრებმა** - გიორგი ჭიჭინაძემ, ვახტანგ ჭიჭინაძემ, ნინელი ტურავამ და ნინო ჭიჭინაძემ და აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობის სანაცვლოდ, ითხოვეს ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების თანასაკუთრებაში გადაცემა.

როგორც სერგო ბირკაძემ აღნიშნა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N58-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება**, თეთრი კარკასის კონდინცირთ, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, **საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით**. შესაბამისად, **მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 476 166 ლარის ოდენობით.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების **საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 209 009; 124 546 და 138 356 ლარის ოდენობით (ჯამურად: 471 911 ლარი).**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემას და **საპრივატიზებო პროცესის სახით - მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.**

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვისა და საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეოცე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N36, ბინა N8-ში არსებული **118.30 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე პოლინა აზიანიძისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევიტ გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი **ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 1983 წლიდან.** ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მთაწმინდის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტითა და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში დაინტერესებული პირი და მისი ოჯახის წევრები **რეგისტრირებულნი არ არიან;**
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის ქუჩის V ჩიხის N3-ში არსებული **69.77 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე გიორგი ხოტენაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის** საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირი **ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე დაახლოებით 30 წელია**. ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;
- სსიპ - დევნილთა, ევომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში დაინტერესებული პირი და მისი ოჯახის წევრები **რეგისტრირებულნი არ არიან**;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების **საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის**,

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N28-ში მდებარე 55.2 კვ.მ ფართობის N64 ბინის (მშენებარე), ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზ. N9გ-ში მდებარე 48.1 კვ.მ ფართობის N107 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე 91 კვ.მ ფართობის N22 ბინის (მშენებარე) **პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ზურაბ მაისურაძისთვის, თორნიკე მაისურაძისთვის, მარიამ მაისურაძისთვის, მზენა მაისურაძისა და ქეთევან მაისურაძისთვის, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, 2023 წლის 23 ოქტომბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით მიმართეს **ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 139.20 კვ.მ. ფართის თანამესაკუთრებმა** - ზურაბ მაისურაძემ, თორნიკე მაისურაძემ, მარიამ მაისურაძემ, მზენა მაისურაძემ და ქეთევან მაისურაძემ და აღნიშნული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობის სანაცვლოდ, ითხოვეს ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართების თანასაკუთრებაში გადაცემა.

სერგო ბირკაძის განმარტებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში **1 კვ.მ. ფართის** (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, **2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 903 ლარის ოდენობით**. შესაბამისად, **მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 543 297.6 ლარის ოდენობით**.

მომხსენებლის მითითებით, ასეთივე დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ფართების **საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 187 294; 94 180 და 261 261 ლარის ოდენობით (ჯამურად: 542 735 ლარი)**.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წინამდებარე განკარგულების პროექტის წარმოდგენა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად

დაინტერესებულ პირთათვის თანასაკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პროცესის სახით - მათ ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის სახით - სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ერთ ერთეულ უძრავ ქონებასთან მიმართებით განსაზღვრის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N32-ის მიმდებარედ 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, მოქალაქე ინა ტიელიძისთვის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებულ პირს, 2010 წლის 20 ივნისის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, მითითებული უძრავი ქონება გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 2024 წლის 20 ივნისამდე ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბის ფუნქციონირების მიზნით. ამასთანავე, მოცემულ მიწის ნაკვეთზე, დღევანდელი მდგომარეობით მოწყობილია დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბე.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 23 იანვრის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025 წლის 23 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 288 ლარის ოდენობით.

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 288 ლარი (ასევე იჯარის საგნის საიჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით).

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რითაც ოცდამეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შპს „საცხოზი 2025“-სთვის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 12 თებერვლის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 4 800 ლარის ოდენობით.

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 2026 წლის 1 სექტემბრამდე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 800 ლარი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

25. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 25 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, მოქალაქე თამარ მანჯავიძისთვის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება იმ პირობით, რომ შენარჩუნდება 3.5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსდება 3.5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა. აღსანიშნავია, რომ დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი მაგიდა და სკამები, ყოველგვარი შემომზღუდავი ელემენტების გარეშე.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 30 იანვრის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 7 500 ლარით.

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7 500 ლარი.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ბახტრიონის ქ. N28, კორპუსი N3-ის მიმდებარედ არსებული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, კიბის ფუნქციონირების მიზნით, შპს „ალმონდ ბეიქერი 1995“-ისთვის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 30 იანვრის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 144 ლარის ოდენობით

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესატანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 144 ლარი (იჯარის საგნის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით).

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების იჯარით გადაცემის მიზნობრიობის მითითებისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომსახურებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

27. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში მიხეილ თამარაშვილის გამზირი N4ა-ში არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ღია კაფეს მოწყობის მიზნით, ქეთევანი გველესიანისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომსახურებელმა აღნიშნა, დაინტერესებულ პირს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით, ქალაქ თბილისში, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N4ა-ში არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ აქვს რეგისტრირებული უძრავი ქონება საკუთრებაში.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომსახურებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 12 თებერვლის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2025 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 1 200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- **იჯარის მოქმედების ვადა - განისაზღვროს 5 (ხუთი) წლის ვადით;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - განისაზღვროს 1 200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების მესამე პუნქტის ტექნიკურად გამართულობის მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებული იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N14-ის მიმდებარედ არსებული 2469 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან **6 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, კიბის ფუნქციონირების მიზნით, შპს „მარსოჯორჯია 2018“-ისთვის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებულ პირს, 2009 წლის 22 აპრილის აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე, ზემოთ მითითებული უძრავი ქონება გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 2024 წლის 27 აპრილამდე ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბის ფუნქციონირების მიზნით.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის **საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 12 თებერვლის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 440 ლარის ოდენობით.**

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 440 ლარი (აღნაგობის ხელშეკრულების სარგებლობის ვადის გასვლის დღიდან ახალი იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე**

პერიოდისთვის იჯარის საგნით ფაქტობრივად სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით).

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

29. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, მოქალაქე ალექსანდრე გოგინაშვილისთვის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულ პირს, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ 2009 წლის 21 ივლისის ხელშეკრულებისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 28 აპრილის ბრძანების საფუძველზე, მითითებული უძრავი ქონება გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, **2024 წლის 23 ივლისამდე ვადით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბის ფუნქციონირების მიზნით.** ამასთანავე, მოცემულ მიწის ნაკვეთზე, დღევანდელი მდგომარეობით მოწყობილია დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბე.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 30 იანვრის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 864 ლარის ოდენობით.**

მომხსენებლის მიწერულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 864 ლარი (აღნაგობის ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლობის ვადის გასვლის დღიდან ახალი იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდისთვის იჯარის საგნით ფაქტობრივად სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით).

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტების (გამოცემის დრო და ადგილი) მითითებისა და განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ჯაბაურის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით, მოქალაქე თამარი ერაძისთვის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, დღევანდელი მდგომარეობით, მოწყობილია დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ფართში შესასვლელი კიბე.

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციების თანახმად, ზემოხსენებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 12 თებერვლის დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, **2025 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 144 ლარის ოდენობით.**

მომხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 144 ლარი (იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე სრული პერიოდისთვის იჯარის საგნით ფაქტობრივად სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით).

აზრი გამოთქვას:

წინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტების (გამოცემის დრო და ადგილი) მითითების, განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. ოთარ ჩიტაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებულ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტურ ნაწილში“ (შემდგომში - „მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“) ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, **მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი:**

- „ჟ) მიწის ნაკვეთების გაერთიანება;“

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან, მიწის ნაკვეთების გაერთიანება არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1.11-ით განსაზღვრულ - შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებით არეალებში დაწესებულ შეზღუდვებს და არ იწვევს სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთების წარმოქმნას, დასაშვებად იქნა მიჩნეული ზემოაღნიშნული ცვლილების განხორციელება.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და აქვე დასძინა, რომ **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.**

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტებისა და პირველი მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომსახურებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსო გობრონიძის ქუჩა N21გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 993 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომსახურებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=5.1-მდე, რაც გულისხმობს 11 (თერთმეტი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას; ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის უმეტეს ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ -1), ხოლო მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1). ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 2 აგვისტოს ბრძანებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (89.2%) განთავსების მიზნით, ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 19 სექტემბრის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის (კ-2=3.5).

მომსახურებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 196 565 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 21 მარტის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.5-დან 5.1-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 547 001.14 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით**, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სამგორის ქუჩა N3; ქალაქი თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა N42; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის N9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 6 115 კვ.მ) მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.1-მდე**, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 2 (ორი) სართულის დამატებასა და 22 (ოცდაორ) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას; ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)**. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 4 ივნისის ბრძანებით, **გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსებისთვის**, ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 25 ივნისის და 11 ნოემბრის ბრძანებებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე

დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=4.6), შეთანხმებულია მრავალზონიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.6) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 8 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 6 583 819 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 24 იანვრის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.1-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 715 632.50 ლარს.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნიწო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 მარტის N25.428.490 განკარგულების საბაზრო სწორი ფორმით მითითებისა და განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე. ამასთანავე, კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში „ბ“ ქვეპუნქტის სახით დაემატოს ჩანაწერი არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.

აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტას:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი -

3 000 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.7-მდე, რაც გულისხმობს 3 სართულის დამატებას და 20 (ოცი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას; ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ -2). ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმა, რომლის შესაბამისადაც, საპროექტო საკადასტრო ერთეულზე გათვალისწინებულია მრავალბინიანი შენობა-ნაგებობის განთავსება შემდეგი პროცენტული განაწილებით: 90% საცხოვრებელი, 10% კომერციული; ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 12 დეკემბრის და 2024 წლის 8 აგვისტოს ბრძანებებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი (კ2=4.6) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 4 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 4 455 000 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 6 მარტის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.7-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1 065 326.09 ლარს.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-6 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნეეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N73ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 16 445 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.4-დან კ-2=4.2-მდე, რაც გულისხმობს A ბლოკზე 2 (ორი) სართულის დამატებას, C ბლოკზე 1 (ერთი) სართულის დამატებას, D ბლოკზე 2 (ორი) სართულის დამატებას და შემდეგი სართულიანობის შენობა-ნაგებობების განთავსებას: A ბლოკი - 10 სართული; C ბლოკი - 25 სართული და D ბლოკი - 20 სართული. ამასთანავე, საპროექტო წინადადებით B ბლოკზე გათვალისწინებულია 33 სართულის ნაცვლად 32 სართული. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=3.4), რომლითაც საპროექტო ფუნქციური ზონირება გათვალისწინებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) და ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 12 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 23 218 695 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 17 მარტის წერილის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 3.4-დან 4.2-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 5 463 222.35 ლარს.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ; ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 მარტის N25.434.487 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითებისა და განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს **კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით**, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N152; N158; N156; N154; N152ბ; N152გ; N66; N66დ; N148; N164; N152გ; N152დ; N146; N150; N66-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3-ის დასახლება, ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საერთო ფართობი - 9474 კვ.მ) მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=6.0-მდე**, რაც გულისხმობს „ა“ და „ბ“ ბლოკებზე 10 (ათი) მიწისზედა სართულის დამატებასა და ორი 34 (ოცდათოთხმეტი) სართულიანი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, **საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)**. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 11 სექტემბრის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 სექტემბრის N473 განკარგულებით **დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალების პროექტი**, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 11 დეკემბრის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N684 განკარგულებით **დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის**

ნაკვეთების საბაზრო ღირებულება 2025 წლის 12 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 17 358 826 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 14 მარტის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 6.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 5 283 120.96 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნიწო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის შინაარსობრივად გამართვის რეკომენდაციაზე, კერძოდ, ვინაიდან განსახილველი მიწის ნაკვეთები საპროექტო არეალში შეფასებულია ცალ-ცალკე, სავარაუდოა, რომ მათი ჯამური საბაზრო ღირებულება ნაკლებია ამავე მიწის ნაკვეთებზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დამტკიცებულ არეალთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განხორციელდეს მიწის ნაკვეთების ხელახალი შეფასება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N684 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კონფიგურაციის, დადგენილი ზონირებისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად საანგარიშო ფორმულით მიღებული/გადასახდელი ფასის გადარიცხვა, წინამდებარე საკითხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში, განხორციელდეს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

ოთარ ჩიტიძე დაეთანხმა წარმოთქმულ მოსაზრებას.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

37. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რეზო გაბაშვილის ქუჩა, N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 35 517 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.2-მდე, რაც გულისხმობს განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულ N3 და N4 შენობა-ნაგებობებზე 8 (რვა) სართულის დამატებასა და 23 (ოცდასამ) სართულიანი შენობა-ნაგებობების განთავსებას; ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლისა და სართულიანობის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 25 ნოემბრის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N383 განკარგულებით დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=2.5).

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 22 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 19 097 022 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 15 იანვრის წერილის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.2-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 5 347 166.16 ლარს.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 მარტის N25.436.489 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითებისა და განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

38. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ოცდამეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 11 674 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.0-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 6 (ექვს) სართულიანი შენობების განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს ტერასის სართულზე არსებულ ფრამუგებს.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 11 სექტემბრის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 სექტემბრის N467 განკარგულებით დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=1.5), ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი N1) არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 12 213 327 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის წერილის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 4 071 109.00 ლარს.

მომხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 მარტის N25.435.488 განკარგულების სათაურის, თარიღისა და ნომრის სწორი ფორმით მითითებისა და განკარგულების პროექტის მე-5 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

39. ოთარ ჩიტიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით ოცდამეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით**, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N36ა, N30, N34, N32, N38, N36-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლება, ქუჩა I, N17ა, N17, N15, N13, N7-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ზურაბ ჩაჩუას ქუჩა N21, N11დ, N23ა, N27ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებთან (ფართობი - 5 444 კვ.მ) მიმართებით, **გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=6.0-მდე**, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 4 (ოთხი) და 11 (თერთმეტი) სართულის დამატებასა და 25 (ოცდახუთი) სართულიანი ორი ბლოკის მქონე შენობა-ნაგებობის განთავსებას; ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 მარტის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N154 განკარგულებით **დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალების პროექტი**, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 2 ოქტომბრის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N537 განკარგულებით **დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი**, რომლითაც **საპროექტო ფუნქციური ზონირება გათვალისწინებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) პარამეტრებით (კ-2= 4.6).**

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, **საპროექტო მიწის**

ნაკვეთების საბაზრო ღირებულება 2025 წლის 12 მარტის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 9 490 834 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 14 მარტის წერილის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე კ-2 კოეფიციენტის 4.6-დან 6.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 2 888 514.70 ლარს.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტბეშვიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის შინაარსობრივად გამართვის რეკომენდაციაზე, კერძოდ, ვინაიდან განსახილველი მიწის ნაკვეთები საპროექტო არეალში შეფასებულია ცალ-ცალკე, სავარაუდოა, რომ მათი ჯამური საბაზრო ღირებულება ნაკლებია ამავე მიწის ნაკვეთებზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დამტკიცებულ არეალთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განხორციელდეს მიწის ნაკვეთების ხელახალი შეფასება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N537 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კონფიგურაციის, დადგენილი ზონირებისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად საანგარიშო ფორმულით მიღებული/გადასახდელი ფასის გადარიცხვა, წინამდებარე საკითხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში, განხორციელდეს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

ოთარ ჩიტბეშვიძე დაეთანხმა წარმოდგენილ მოსაზრებას.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

40. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. 37,ა“-ში - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში, ზოგიერთი ფიზიკური პირის მიმართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N24.440.531, 20.03.2024წ) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება N190, 26.04.2024წ), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარ სამმართველოს მიერ წარმოდგენილი

(N04-01250733708-01, 14.03.2025წ) განცხადებების საფუძველზე, ხელშეწყობი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37,ა“-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, თანხის სახით შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებისთვის შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან:

ა) ამ განკარგულების დანართის შესაბამისად განსაზღვრული პირების მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაციის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, უზრუნველყოს ამ საკომპენსაციო თანხების გადახდისათვის საჭირო პროცედურების გატარება;

ბ) თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაცია ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული პირების მიმართ მოხდეს (შესაბამისი თანხის დაზარალებულების მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხვა), მათ შორის, „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“, შპს „მარიჯანი, შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, შპს „დაკიდებული ბალები“, შპს „დილომი დისტორიქტ აფართმენტს“, ამხანაგობა „ახალი დილომი“, ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-სა და შპს „სიემსი“-ს შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფისა“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით, ფინანსური მხარდამჭერის ფარგლებში შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მობილიზებული თანხებიდან;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, არ გამოიყენება „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში დაინტერესებული პირების მიერ გადახდილი/გადასახდელი თანხების ის ნაწილი, რაც აუცილებელია „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელი მშენებლობების დასრულებისათვის, მათ შორის, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სითი ლოფტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ოქტომბრის N2053 განკარგულებით გათვალისწინებული ის თანხა, რომელიც გათვალისწინებულია იმ პირთა დაკმაყოფილების მიზნით, ვისაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უდასტურდებათ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიმართ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის (შემდგომში - „კომისია“) 2025 წლის 17 მარტის N 1 ოქმის თანახმად, კომისიამ წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია (კომისიის ოქმი N3, 18.03.2024) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. N37 „ა“-ში“ არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005“-ის და შპს „რივერ საიდი 2023“-ის მიმართ ხელშეწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე. აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ (განკარგულება N24.440.531, 19.03.2024) და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკარგულება N126 29.03.2024 და N 190, 26.04 2024).

ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, ასევე, განისაზღვრა **ზოგიერთი დაზარალებული პირის მიმართ თანხის სახით კომპენსაციის გაცემის წესი და ოდენობა**, რომლის მიხედვით (ოქმი N3, 18.03.2024) განსაზღვრული დაზარალებული პირების გარდა, **სხვა პირთა მიმართ ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების და აღნიშნული პირების მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაციის მიზნით**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, **უნდა უზრუნველყოს საკომპენსაციო თანხების გადახდისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება**.

კომისიის თავმჯდომარის მითითებით, მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. N37 „ა-ში“ არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში, კომისიას მიმართა 24-მა ფიზიკურმა პირმა და მოითხოვა თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაცია. აღნიშნული პირების მიმართ კომისიისა და კომისიის აპარატის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, მათ შორის, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელიც არ იყო შესაბამისი წესით შედგენილი და დამოწმებული.
- საქართველოს უზენაესი ხასამართლოს 2022 წლის 25 ნოემბრის განჩინებით (საქმე N558აპ-22), ზემოაღნიშნული პირების მიმართ არ არის დადგენილი მათ მიმართ ფულადი სახით გასაცემი ვალდებულების არსებობის ფაქტი ან/და მიყენებული ზიანის ოდენობა.
- ამასთანავე, ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005“-ის 2010 წლის 15 მაისის კრების ოქმითა და ამავე ოქმის შესწორებების მიხედვით, არ დგინდება ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ რაიმე სახით გათვალისწინებული ვალდებულების არსებობის ფაქტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც ნინო ვარდოსანიძემ განმარტა, დამატებითი გარემოებების შესწავლის მიზნით, კომისიამ წერილობით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარ სამმართველოს, რომლის 2025 წლის 14 მარტის N MIA 2 2500768531 წერილით მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისადაც, **ზოგიერთი ფიზიკური პირის მიმართ დასტურდება თანხის ან/და ფართის სახით გასაცემი ვალდებულება**.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულისა და კომისიის დადებითი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია, მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. N37 „ა-ში“ არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N190, 26.05.2024), თანხის სახით შესასრულებელი ვალდებულებებისთვის ზემოაღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების შესაბამისი სათაურის, თარიღისა და ნომრის, ასევე განკარგულების პროექტის დანართში დავით გამრეკელაშვილის პირადი ნომრის სწორი ფორმით მითითებისა და დანართის სათაურში შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს წერილის ნომრის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციებზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

41. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით ორმოცდამეერთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული ქონებისა და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერას.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, 2024 წლის 27 სექტემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბ03.03242713 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების საინვენტარიზაციო კომისია, რომელმაც მოახდინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აპარატის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაცია (ქონების აღწერა და ქონების ფაქტობრივი ფიზიკური მდგომარეობის შესწავლა). ინვენტარიზაციის პროცესში გამოვლინდა ჩამოწერას დაქვემდებარებული ქონება (პროცესორი, მონიტორი, უწყვეტი კვების ბლოკი, კარადა, სკამი, სავარძელი), რაზეც მოწვეული იქნა აუდიტი და მომზადდა დასკვნა.

ნინო ვარდოსანიძის განმარტებით, 2025 წლის 20 იანვარს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, კომპანიას უნდა განეხორციელებინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოწერილი ქონების იდენტიფიცირებისა და ღირებულების შეფასების სამუშაოები. აღნიშნული კომპანიის დასკვნის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული, ჩამოწერას დაქვემდებარებული აქტივების (337 ერთეული) გამოყენება ფუნქციონალური დანიშნულებით შესაძლებელი არაა. აქტივები დაზიანებულია, დაკარგული აქვს თვისობრივი მახასიათებლები, არიან ამორტიზირებული, აღარ ექვემდებარებიან შემდგომ გამოყენებას ფუნქციის დაკარგვის გამო, ხოლო აღდგენა შეუსაბამო ხარჯებთანაა დაკავშირებული.

კომისიის თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ რიგ აქტივებს გააჩნიათ ლითონის დეტალები, რომელთა გამოცალკევება შესაძლებელია მექანიკური დაშლის შედეგად. ჩამოწერას დაქვემდებარებული აქტივებიდან დაშლის შედეგად მისაღები ჯარტის სავარაუდო წონა

განისაზღვრა 0,55 ტ-ით. მსგავსი მახასიათებლების მქონე 1 კგ შავი ლითონის ჯართის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 27 იანვრის მდგომარეობით განისაზღვრა 0.60 ლარით.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის აქტისა და ჩამოსაწერი ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის N26-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მითითებისა და განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

ნ. ვარდოსანიძე

ნინო ვარდოსანიძე

სხდომის მდივანი

ნ. დანელიშვილი

ნინო დანელიშვილი